

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტი**

**სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი  
სატენდერო კომისიის სხდომის**

**ოქმი №1**

19 აგვისტო, 2016 წელი  
ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)

**სხდომას ესწრებოდნენ:**

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

გურგენ სართანია – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

სატენდერო კომისიის წევრები

თენგიზ შანავა – ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

ნანი მიქნაია – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

თენგიზ ქობალია – ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის  
სამსახურის უფროსი;

რუსლან კილასონია – ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის  
სამსახურის უფროსი;

ჯაბა არდია – მშენებლობის სამსახურის უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები

ბესიკ ქარდავა – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

აქსანა გუჩუა – იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის შემადგენლობის უმრავლესობით – ექვსი წევრის  
დასწრებით.

**სხდომის დღის წესრიგი:**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრიდან №1  
სასაფლაომდე, საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო  
დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან  
მიზნით  
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო  
დოკუმენტაციის განხილვა.

**მოისმინეს:** სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე სატენდერო კომისიის თავმჯდომარის  
გ. სართანიას ინფორმაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში,  
ცენტრიდან №1 სასაფლაომდე, საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-  
სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის განხორციელებასთან  
დაკავშირებით და კომისიას განსახილველად გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების  
განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია წარუდგინა.







**სხდომის მსვლელობა:** სატენდერო კომისიამ განიხილა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო  
დოკუმენტაციის პროექტები. დაადგინა ტექნიკური დავალების მონაცემები, საკვალიფიკაციო  
მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო  
წინადადების ფორმები. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 39000 ლარით.

**კომისიამ გადაწყვიტა:** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის  
შესაბამისად დამტკიცდეს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში,  
ცენტრიდან №1 სასაფლაომდე, საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-  
სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე წარმოდგენილი განცხადება და  
სატენდერო დოკუმენტაცია (ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია  
თან ერთად).





დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს: უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის აქტივითვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)).

კომისიის წევრები:

1.  გ. სართანია (თავმჯდომარე).
2.  თ. შანავა.
3.  ნ. მიქნაია.
4.  თ. ქობალია.
5.  რ. კილასონია.
6.  ჯ. არდია.

კომისიის აპარატის წევრები:

1.  ბ. ქარდავა.
2.  ა. გუჩუა.